



სახალხო სამშვიდობო პროცესის პერსპექტივები

მარტი 2012

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი

1992 წლის ქართულ-აფხაზური ომის დაწყებიდან წელს ოცი წელი სრულდება. ამ კონფლიქტს - რომელიც სხვა კონფლიქტებთან ერთად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა - საფუძვლად უდევს წინააღმდეგობა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპსა და ერთა თვითგამორკვევის უფლებას შორის. დღემდე დაურეგულირებელი კონფლიქტის შედეგია უსაფრთხოების პრობლემები, ღრმა უნდობლობის გრძნობის ჩამოყალიბება, ადამიანების დევნილობაში ყოფნის გახანგრძლივება და ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხება.

მიღებული შედეგები და რეკომენდაციები ეყრდნობა 2010 და 2011 წლებში შესრულებულ კვლევას, რომელშიც კონფლიქტის დროს უშუალოდ დაზარალებული პირები მონაწილეობდნენ. კონფლიქტის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვას საზოგადოების სხვადასხვა ფენის (მათ შორის მარგინალიზირებული ჯგუფების) წარმომადგენლებმა, ასევე კონფლიქტის ორივე მხარეს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებულ შვიდ ჯგუფურ დისკუსიამ განიხილებოდა ევროკავშირის რეაქცია ამ საკითხზე.

2008 წელს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული საომარი მოქმედებების შემდეგ, რომელშიც საქართველოსა და რუსეთის ჯარები მონაწილეობდნენ, აზრი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბუნებისა და მასში მონაწილე მხარეების შესახებ გაიყო. ქართველების დიდი ნაწილი ამ კონფლიქტს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციად აღიქვამს. ზევრი აფხაზი მიიჩნევს, რომ ეს არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, სადაც რუსეთი აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, უსაფრთხოების გარანტიებს უზრუნველყოფს. ორივე მხარეზე რესპონდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ კონფლიქტი უფრო რთული და მრავალდონიანია.

კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი საზოგადოებები ერთმანეთისაგან ფიზიკურად არიან იზოლირებული, ამავდროულად ისინი სხვადასხვა მიმართულებებით მოძრაობენ: აფხაზები - რუსეთის, ხოლო საქართველო - დასავლეთისაკენ. მშვიდობის დამკვიდრების საქმეს მნიშვნელოვანად აბრკოლებს პოლარიზაციის ზრდის, დამაბულობისა და პოზიციების გამკაცრებისაკენ მიმართული ტენდენცია.

ევროკავშირი ამ რეგიონში მნიშვნელოვან დონორსა და პოლიტიკურ მოთამაშეს წარმოადგენს, რომელიც თავისი საზღვრების პერიმეტრზე სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებით არის დაინტერესებული, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იგი დიდი წარმატებით შუამავლობდა ცეცხლის შეწყვეტის პროცესს. მას შემდეგ ევროკავშირი ერთ-ერთ შუამავალ მხარეს წარმოადგენს ქვეყნის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე და მას რეგიონშიც ჰყავს სადამკვიდრებლო მისია (EUMM).

ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს (EUSR) რეგიონში კონფლიქტებზე მუშაობის განსაკუთრებული მანდატი გააჩნია. ასე რომ, ევროკავშირის რეგიონში არსებული დინამიკის დადებითი მიმართულებით წარმართვის ყველა საშუალება აქვს. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ სუბიექტთან სტაბილური ურთიერთობების დამყარებამ და კონფლიქტის მხარეთა შორის საერთო პოზიციის მოძებნამ შეიძლება გრძელვადიანი სამშვიდობო პროცესისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნას.

პროექტი „სახალხო სამშვიდობო პროცესის პერსპექტივები“

პროექტი წარმოადგენს ორგანიზაციების „შერიგების რესურსების“ (Conciliation Resources) და „უსაფრთხო მსოფლიო“ (Saferworld) ერთობლივ ინიციატივას და ფინანსდება ევროკავშირის „სტაბილურობის ინსტრუმენტის“ მიერ. პროექტი ევროკავშირის ინსტიტუტებს სთავაზობს ანალიზის შედეგებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტებისა და არასტაბილურობის გამოვლილების მქონე მთელი რიგი ქვეყნების ხედვებსა და გამოცდილებას ეყრდნობა.

ძირითადი შედეგები

- ევროკავშირის ჩართულობა უფრო ხელშესახები და გასაგები უნდა იყოს რიგითი მოქალაქისთვის, რათა მაქსიმალური სარგებლობა იქნას მიღებული „ჩართულობა აღიარების გარეშე“ პოლიტიკის გატარების შედეგად.
- პოლიტიკისა და პროგრამების მიმართულებების მშვიდობის დამყარების ერთიან მიზანთან მორგება ევროკავშირის დახმარება პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს კონფლიქტის დინამიკის წარმართვაში.
- რეგიონში ეფექტიანი დემოკრატიზაციისა და უფრო ინკლუზიური პოლიტიკის მხარდაჭერა წარმოადგენს სტაბილური მშვიდობის დამყარებისათვის საჭირო პირობების შექმნის ძირითად ფაქტორს.
- მნიშვნელოვანია ხალხის მოსაზრების გათვალისწინება, რათა პოლიტიკა დაეფუძნოს დაინტერესებული პირების მიერ სიტუაციის ღრმა და დეტალურ გააზრებას.

“სამოქალაქო საზოგადოებას დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს დაგროვებული კონფლიქტის შესახებ, აქვს ურთიერთობა მეორე მხარესთან, მაგრამ ამ ყველაფრის გამოყენება არ ხდება.“
ჟურნალისტი, ბათუმი

დასკვნები და რეკომენდაციები

1.

ევროკავშირის ჩართულობა უფრო ხელშესახები და გასაგები უნდა იყოს რიგითი მოქალაქისთვის, რათა მაქსიმალური სარგებლობა იქნას მიღებული „ჩართულობა აღიარების გარეშე“ პოლიტიკის გატარების შედეგად.

2009 წლიდან ევროკავშირის დეკლარირებულ პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ წარმოადგენს პრინციპი „ჩართულობა აღიარების გარეშე“. ამავდროულად, აფხაზეთის მოსახლეობამ მალევე ცოტა რამ იცის როგორც ამ პოლიტიკის, ისე ევროკავშირის შესახებ. ზოგი რესპონდენტი გამოხატავდა გულგრილობას ან საერთოდ თავს არიდებდა პასუხის გაცემას, მისი უმეტრად აღქმის შიშის გამო. სხვები უფრო მტრულად იყვნენ განწყობილნი და უნდობლობას გამოთქვამდნენ ევროკავშირის მიმართ, რომელიც, მათი აზრით, აფხაზეთს საქართველოსთან ასოცირებულად აღიქვამს და რომლის არაღიარების პოლიტიკა აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულებას აძლიერებს.

„პირველ რიგში ჯერ ევროკავშირთან უნდა დავამყაროთ ნდობა და მხოლოდ მერე იქნება შესაძლებელი საქართველოსთან ნდობის დამყარებაზე საუბრის დაწყება“.

აფხაზეთის ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მზად არის მიესალმოს ევროკავშირთან უფრო ფართო კონტაქტების დამყარებას და ურთიერთქმედების გაძლიერებას. მაგრამ ამავდროულად გამოითქმის წყილიც, რომ განვითარებაზე გამოყოფილი დახმარება შეზღუდულია, ძირითადად დაკავშირებულია ნდობის დამყარების ღონისძიებებთან და კონკურენტულ ვერ უწევს რუსეთის ინვესტიციებს რეგიონში. მათი აზრით, ევროკავშირი თავის მხარდაჭერას აფხაზეთის მიმართ მხოლოდ საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობების პრიზმაში ხედავს. თუმცა, აფხაზეთის მიმართ პირდაპირი მხარდაჭერა მეტ ნდობას გამოიწვევდა აფხაზურ საზოგადოებაში. გამოკითხვის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა კიდევაც: „ჩვენ გვაქვს პრობლემები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებენ და ევროკავშირი თავისი ღირებულებების ერთგული უნდა დარჩეს და დაიცვას ადამიანის უფლებები, მიუხედავად მისი დამოკიდებულებისა კონფლიქტის მიმართ“. აფხაზი მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის ჩართულობის პოლიტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუკი იგი აფხაზეთის რეინტეგრაციაზე ორიენტირებული საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიისაგან განსხვავებული იქნება.

“ევროკავშირთან ურთიერთობა სუფთა ჰაერის შესუნთქვის მსგავსი შეიძლება გახდეს“.

აფხაზი ბიზნესმენი, ჯგუფური დისკუსიის მონაწილე

კონფლიქტის კონტექსტში ევროკავშირის ოფიციალური პირებისა და ინსტიტუტების აფხაზეთის არაღიარების შესახებ გაკეთებულ საჯარო განცხადებებს განსაკუთრებული რეზონანსი გააჩნია და ართულებს აფხაზეთის საზოგადოების იმ წარმომადგენლებს მუშაობას, რომლებიც ევროპასთან დაახლოების იდეას უჭერენ მხარს - მათ უხდებოდა უზარმაზარი მალისხმევის გაწევა თავისი საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ევროპას გააჩნია შესაბამისი შემოთავაზებები. როგორც ექსპერტთა უმცირესობის აზრის გამომხატველმა ერთმა ქართველმა რესპონდენტმა აღნიშნა: „არაღიარება მოცემულობას წარმოადგენს - და თუკი ევროკავშირს სურს, რომ ჩართულობის პოლიტიკა ქმედითურადად იქნება გახდეს, მან დღეს ამ ფაქტის [არაღიარების] დამადასტურებელი საჯარო განცხადებებისაგან თავი უნდა შეიკავოს“. თუკი ევროკავშირის დღევანდელი საქმიანობა აფხაზეთში უფრო ხილვადი გახდება, ხოლო მოქალაქეების საჭიროებებისათვის განკუთვნილი პრაქტიკული დახმარება გაიზარდება, მაშინ აფხაზეთმა შეიძლება მხარი დაუჭიროს ევროკავშირის, როგორც შუამავლის, როლს აფხაზეთში.

“ვერ ვხედავთ, რომ ჩართულობას რეალური შინაარსი გააჩნდეს - ჩვენ მხოლოდ რიტორიკა გვხვს“.

ხელისუფლების წარმომადგენელი აფხაზეთიდან, ჯგუფური დისკუსია

ქართველი მონაწილეების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს ევროკავშირის პირდაპირ ურთიერთობას აფხაზეთთან და არ ეთანხმება იმ აზრს, რომ აფხაზეთი ევროპას მხოლოდ თბილისის მეშვეობით უნდა უკავშირდებოდეს „ფარული აღიარების“ საფრთხის გამო. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ევროპის მიერ საქართველოს და აფხაზეთთან უფრო მჭიდრო პარალელური კავშირების დამყარება რუსეთის საპირწონე მალის შექმნის შესაძლებლობას იძლევა და ღია ტოვებს სასიცოცხლო მნიშვნელობის „ფანჯარას“, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონსტრუქციული გზით დასაბუთებლად.

რეკომენდაციები:

- ევროკავშირმა ნათლად უნდა განმარტოს ტერმინ ჩართულობის მნიშვნელობა, რა მიზნით იწარმოება ეს პოლიტიკა და რით განსხვავდება იგი საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიისაგან.
- ევროკავშირმა უფრო კარგად უნდა გააგებინოს ხალხს, რისი შეთავაზება შეუძლია:
 - სოხუმში ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით, რომლის წყალობითაც მოსახლეობის უფრო ფართო მასებისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდება წიგნები, კინოფილმები, ენის შესწავლა;
 - სოხუმის უნივერსიტეტთან არსებული ევროპული კვლევების ცენტრის გახსნა;
- ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს დაფინანსება, რომელიც საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებასა და ევროკავშირის ავტორიტეტის გაზრდაზე იქნება მიმართული:
 - ევროკავშირი უნდა გახდეს ყოვლისმომცველი საკონსულტაციო პროცესის დაწყების ინიციატორი, რომლის მიზანი იქნება კონფლიქტის ორივე მხარის ადგილობრივი მოსახლეობის მოლოდინების დადგენა ევროკავშირის ჩართულობასთან დაკავშირებით, ამ კონსულტაციების შედეგები გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი გეგმების შემუშავებისას;
 - აფხაზეთის მოსახლეობამდე განვითარებასა და დემოკრატიზაციაზე მიმართული მეტი დახმარება უნდა აღწევდეს. კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნების განხორციელებისათვის უფრო ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს ორმხრივი ინსტრუმენტები;
 - ისეთი დაფინანსების მექანიზმი, როგორიცაა „ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი“ (COBERM), კვლავაც უნდა ეხმარებოდეს სამოქალაქო საზოგადოებას კონფლიქტის ძირეული მიზეზების გადაჭრის საქმეში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორივე საზოგადოებაში მუშაობის პარალელურად წარმართვას (მათ შორის გამოყოფი ხაზის მიმდებარე რაიონებსა და დევნილებთან).
- ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეირჩეს ტერმინოლოგია:
 - ისეთმა ტერმინებმა, როგორიცაა, მაგ. „ჩართულობა“ დღეს უარყოფითი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა აფხაზეთში;
 - მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ რა ზეგავლენას შეიძლება ახდენდეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში გამოყენებული ტერმინი „ოკუპაცია“.



2.

პოლიტიკისა და პროგრამების მშვიდობის დამყარების ერთიან მიზანთან მორგება ევროკავშირის დაეხმარება პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს კონფლიქტის დინამიკის წარმართვაში.

ევროკავშირსა და საქართველოს უფრო მჭიდრო ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის მთელი რიგი საშუალებები არსებობს. ეს საშუალებები პირდაპირ არ არის დაკავშირებული კონფლიქტის დარეგულირებასთან, მაგრამ მათი გამოყენება შესაძლებელია ევროკავშირის ჩართულობის პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირებისა და მისი, როგორც მედიატორის როლის, მხარდაჭერისათვის.

ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია, ხოლო მისი „სამეზობლო“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პოლიტიკა დაახლოების პროცესის ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხებზე მუშაობის გარდა, ევროკავშირი ახდენს მნიშვნელოვანი დროის, ფულისა და პროფესიული გამოცდილების ინვესტირებას დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერის, კანონის უზენაესობის დამკვიდრების, ეფექტური სახელმწიფო მმართველობის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური რეფორმების გატარების საქმეში.

შეიძლება კონსტრუქციული ნაბიჯების ისე გადადგმა, რომ აფხაზეთში მეტი სარგებელი მიიღონ ევროკავშირის პროგრამებისგან. შედეგად, ნაწილობრივ დეკმაყოფილება შეიძლება პრიორიტეტული საჭიროებები (სადაც, აფხაზი რესპონდენტების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ჩართვა), გაუმჯობესდება სტაბილურობის პერსპექტივები და მოხდება სტანდარტების დაახლოება იმ სფეროებში, რომლებიც კონფლიქტით გაყოფილი მხარეებისათვის საერთო ინტერესს წარმოადგენს. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის - „არ ავნო“ - თანახმად, ევროკავშირის პროგრამები და სავაჭრო ურთიერთობები მუდმივ ზეგავლენას უნდა ახდენდნენ კონფლიქტის დინამიკაზე, რათა პროგრამებმა არ გააძლიეროს უთანხმოება და არ გაამძაფროს დაპირისპირება.

“რუსეთის საშუალება აქვს გამოიყენოს ევროპის მიერ დაგროვილი გამოცდილება, ხოლო ჩვენ მხოლოდ „გადამუშავებულ გამოცდილებაზე“ მივიყენებდეთ ხელი, რადგანაც ის ჩვენამდე რუსეთის გავლით აღწევს“.

აფხაზი ჟურნალისტი, დისკუსია ჯგუფში

აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინვესტიციები მათ ყველაზე მეტად შემდეგ სფეროებში სჭირდებათ: ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო ბიზნესი და საბანკო სისტემა, განათლების რეფორმა და პროფესიული მომზადება (გალის რაიონის ჩათვლით), ინფრასტრუქტურა (მაგალითად, სატრანსპორტო მარშრუტები როგორც აფხაზეთის მივნი, ისე კონფლიქტის მიერ გაყოფილ მხარეებს შორის), ინფორმაციული ტექნოლოგიები, სახელმწიფო მართვა, ნარჩენების უტილიზაცია და გარემოს დაცვა.

“მნიშვნელოვანია, გაიხსნას საზღვრები, დამყარდეს არა მხოლოდ პირადი, არამედ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები - მიუხედავად იმისა თუ როგორი იქნება სტატუსი.“

დისკუსია ქართველი ახალგაზრდების ჯგუფში

იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოკითხვისას აღინიშნა, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლებისათვის უმთავრეს პრობლემას, პოლიტიკური მარგინალიზაციის გარდა, საცხოვრებელი პირობები და უმუშევრობა წარმოადგენს. საქართველოში მიწვევადი მოსახლეობისადმი განკუთვნილი ევროკავშირის დახმარება კვლავაც უნდა ემსახურებოდეს დევნილების კეთილდღეობის ზრდასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, მაგრამ ამავდროულად საკმაო ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული მათი დაბრუნების პრობლემის გადაწყვეტაზე. იძულებით გადაადგილებული პირები მოსახლეობის იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალებულნი კონფლიქტის შედეგად და ამავდროულად წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზირებულ ჯგუფს, რომელიც ცდილობს აღარ იყოს სხვა ძალების გეგმების პასიური ინსტრუმენტი.

“ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ქართველი და აფხაზი ხალხის უფლებებზე. პირველ რიგში, ნათლად უნდა განვსაზღვროთ, როგორ ვაპირებთ იქ ცხოვრებას, [წინააღმდეგ შემთხვევაში] ვერ შევძლებთ აფხაზ ხალხთან ურთიერთობების დარეგულირებას“.

იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოკითხვა, ქართველი რესპონდენტი

აფხაზეთში ჩატარებული დისკუსიების მონაწილეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო. რუსეთის პასპორტების მქონე აფხაზებისთვის ხანდახან არ გაიცემა შენგენის ვიზები, რასაც ბევრი ადამიანი ევროკავშირის მხრიდან აფხაზთა უფლებების მიმართ გულგრილობის გამოხატვად მიიჩნევს. ეს განსაკუთრებით მწვევედ აღიქმება, როდესაც საზღვარგარეთ სამკურნალოდ სურთ გამგზავრება. ამჟამად განხილვის პროცესში მყოფი ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტები არ აღიქმება ნეიტრალურად აფხაზების მიერ, რადგანაც ისინი თბილისში გაიცემა. ქართველი რესპონდენტებიდან ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია განხილულ იქნას საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტების იდეა, რაც ორივე მხარისთვის იქნება მისაღები. თუკი ევროკავშირის უფრო მოქნილი სავიზო წესები ექნება, ეს დაეხმარება აფხაზებს დაძლიონ დღეს არსებული იზოლაციისა და მარგინალიზაციის შეგრძნება.

რეკომენდაციები:
■ მშვიდობისა და სამართლიანობის ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს სავაჭრო ურთიერთობებში და გამოყოს ინვესტიციები;

□ ევროპის საინვესტიციო ფონდები და სავაჭრო ხელშეკრულებები უნდა შეიცავდეს კონფლიქტის მიმართ ფრთხილ დამოკიდებულებას, სადაც გთვავისწინებულ იქნება ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერა.

□ „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით საქართველოსთან მიმდინარე მოლაპარაკებები კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ ხალხს სავაჭრო კავშირებს დიდ შესაძლებლობას შეუქმნის.

■ საქართველოს მთავრობის კონსტრუქტიული მიდგომა მშვიდობის დამყარების მიმართ უნდა წახალისდეს პრინციპის - „მეტი უფრო მეტისათვის“ - შესაბამისად:

□ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი უნდა იყოს ცვლილებები, რათა შეიქმნას დეიზოლაციისათვის საჭირო მაქსიმალური შესაძლებლობები და გარე მხარეებისათვის უფრო მოქნილი გახდეს აფხაზეთთან პირდაპირი ურთიერთობები;

□ უნდა იყოს მზადყოფნა დემილიტარიზაციის პროცესის დასაწყებად და საომარი მოქმედებების განუახლებლობის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ (ამის გაკეთებისაკენ ყველა მხარეს მოუწოდონ);

■ აღსრულებულ სამართალ კონფლიქტის მსხვერპლთა მიმართ - ეს არის რეპარაცია და რესტრუქცია, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მათი დღევანდელი განთავსების ადგილებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოს პრეგამტარ და რეალიტურ საზოგადოებრივ პოლემიკას დაბრუნების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება დევნილთა შეხედულებებსა და მოთხოვნილებებზე.

■ ევროკავშირი ხელს უნდა უწყობდეს გადაადგილების თავისუფლებას, მათ შორის კონფლიქტისგან დაზარალებული ჯგუფებისთვისაც:

□ აუცილებელია საქართველოსთან მუშაობის გაგრძელება სავიზო რეჟიმის შემსუბუქების მიზნით;

□ აუცილებელია ყველა მხარისათვის მისაღები დოკუმენტების ვარიანტების განხილვა, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით კონფლიქტისგან დაზარალებულ პირებს გადაეცემა;

□ აფხაზეთში მცხოვრებ რუსეთის პასპორტების მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ ევროპაში წასასვლელი ვიზების მიღების შესაძლებლობა.

■ ევროკავშირმა უნდა განიხილოს აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმთან“ მიერთების საშუალებები და აფხაზეთის მოსახლეობის ისეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საკითხი, როგორიცაა „ერაზმუსი“ და „ახალგაზრდობა მოქმედებაში“.

3.

რეგიონში ეფექტიანი დემოკრატიზაციისა და ინკლუზიური პოლიტიკის მხარდაჭერა წარმოადგენს სტაბილური მშვიდობის დამყარებისათვის საჭირო პირობების შექმნის ძირითად ფაქტორს.

“ჩვენ ისეთი სახელმწიფო უნდა შევქმნათ, რომელშიც ცხოვრების სურვილი ექნებათ აფხაზებს, ოსებს და რუსებსაც.”
ქართველი ჟურნალისტი, ჯგუფური დისკუსია

ქართულ ჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ საქართველო უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს აფხაზებისათვის და ეკონომიკურ ზრდასთან ერთად დემოკრატიაც უნდა გაძლიერდეს. სხვები უფრო სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი და მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი აფხაზეთის დასაბრუნებლად. ზოგიერთმა მონაწილემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მზარდი მილიტარიზაციის, დემოკრატიული პრაქტიკის შესამჩნევი ნაკლებობისა და მთავრობასა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის ურთიერთობის გაუარესების გამო საქართველოში ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია. აფხაზური ჯგუფების მონაწილეები ამბობდნენ, რომ არ უნდა გვქონდეს მსგავსი გამოსავლის იმედი.

“არ უნდა იყოს იმის იმედი, რომ თუკი საქართველო უფრო მიმზიდველი გახდება, ჩვენ უკან გამოვქანდებით.”
აფხაზეთის პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელი

მათელ რეგიონში სახელმწიფო მართვის გაუმჯობესების აუცილობლობის შესახებ მრავალი არგუმენტის მოყვანა შეიძლება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი კონფლიქტის რამდენიმე ძირითადი მიზეზის მოგვარება: უმცირესობათა უფლებების, პოლიტიკური წარმომადგენლობითობისა და თანამონაწილეობის პრობლემების. საბოლოო ჯამში, კონფლიქტის სტაბილური პოლიტიკური დარეგულირებისათვის აუცილებელია რიგობა მოქალაქემ მისთვის, რომ მის აზრს ითვალისწინებენ მისთვის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტისას. პლურალიზმისა და პოლემიკის პოლიტიკური კულტურის - რაც ადამიანის უფლებების პატივისცემასა და ხალხის აზრის მოსმენას ნიშნავს - გარეშე, ცალკეული პირები და ჯგუფები, მაგალითად გალის მოსახლეობა, ქართველი დევნილები, სომხური ეთნიკური უმცირესობა და სხვა უმცირესობები კონფლიქტის ორივე მხარეს, კვლავაც დაუცველ ჯგუფებად რჩებიან და მათ თითქმის არა აქვთ საკუთარ მომავალთან დაკავშირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

“თუ ვისწავლით, თუ როგორ მოვეპყრათ უკეთესად ჩვენი უმცირესობების წარმომადგენლებს, მაშინ უფრო მომზადებული ვიქნებით მშვიდობაზე სალაპარაკოდ.”

ქართველი მონაწილე, ერთობლივი ანალიტიკური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

მნიშვნელოვანია, რომ კონფლიქტის ზონებშიც კი, რომელთა სტატუსიც და მოსახლეობის შემადგენლობაც საკამათოა, პატივის სცემდნენ ისეთ ღირებულებებს, როგორცაა: თანამონაწილეობა, მრავალფეროვნება და ადამიანის უფლებები. ამიტომაც ევროკავშირის შეუძლია გადაწყვეტი როლის შესრულება ხელმძღვანელებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებითა და საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების დაცვის ხელშეწყობის გზით.

რა თქმა უნდა, რთულია სახელმწიფო მართვის სფეროში რეფორმების მხარდაჭერა ისეთ რეგიონებში, რომელთა სტატუსი საკამათოა და არაერთგვაროვანია ხელისუფლების ლეგიტიმურობისა და რეპრეზენტატიულობის აღქმაც. მაგრამ ეფექტური მართვისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობა მხოლოდ აღიარებული სახელმწიფოების მოსახლეობასთან თუ წარიმართება, მაშინ ეს კიდევ უფრო გაზრდის გაუცხოებას მხარეებს შორის. უნდა გამოსწორდეს განვითარების შესაძლებლობებში არსებული დისბალანსი, ხოლო ძირეული ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი, მთელი მოსახლეობის მონაპოვარი უნდა გახდეს, მიუხედავად მათ სტატუსთან დაკავშირებული სირთულეებისა.

“ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროპის მიერ სახელმწიფო მართვის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კულტურის სფეროებში საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება”.
აფხაზი ბიზნესმენი, დისკუსია ჯგუფში

დემოკრატიზაციის პროცესი პოლიტიკის იმ სფეროს წარმოადგენს, სადაც შესაძლებელია კონფლიქტით დაყოფილ მხარეებთან თანაშრომლობა და შეხების წერტილების მოძიება. სამშვიდობო ინიციატივებში მონაწილე ადგილობრივი მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ისეთი საკითხები, როგორცაა უმცირესობათა უფლებები ან ნაციონალიზმი, საერთო პრობლემას წარმოადგენს. ევროკავშირის პრაქტიკული მუშაობა კონფლიქტის ორივე მხარეს მყოფ ადამიანებთან ისეთ საკითხებზე, როგორცაა ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა და პოლიტიკური მართვის სტანდარტების კონვერგენცია, ევროკავშირის მიზნებს ემთხვევა და ევროპის კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს. ასეთი საქმიანობა მოსახლეობის ცვლილების სურვილსა და მზადყოფნასაც დააკმაყოფილებს.

რეკომენდაციები:

- დღევანდელი დემოკრატიული პრაქტიკის შესაფასებლად კონფლიქტის ორივე მხარეს უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი კვლევები, იმის დასადგენად, რომელ სფეროში მიადწიეს გარკვეულ მიზნებს მხარეებმა და რომელი სფეროები საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას.
- ევროკავშირის დელეგაციამ კონტაქტის საშუალება უნდა შეუქმნას გადაწყვეტილების მიმღებთ (ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე) და იძულებით გადაადგილებულ პირებს იმისათვის, რომ დევნილებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაზეც მათი ბედია დამოკიდებული.
- ევროკავშირი ხელს უწყობდეს გალში დაბრუნებული დევნილების რეგისტრაციას და მხარს უჭერდეს აფხაზეთში მიმდინარე საქმიანობას, რომლის მიზანია საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და უფლებების დაცვა.
 - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზნებისა და სტანდარტების ფარგლებში აუცილებელია იმ საშუალებების მოძიება, რომლებიც მნიშვნელოვანია აფხაზეთში დემოკრატიული პრაქტიკის მხარდაჭერაზე მიმართული საქმიანობის განსახორციელებლად:
 - „ევროპული სამეზობლო პოლიტიკის“ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში (ENPI) აუცილებელია გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფა აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის მხარდასაჭერად სახელმწიფო მართვის ხარისხის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში;
 - ტექნიკური მხარდაჭერის მიწოდება და აფხაზეთში ევროპულ სტანდარტებთან მიხედვით გაზრდა მიღწეული წარმატების - ისეთი გადაწყვეტ სფეროებში, როგორცაა კორუფციასთან ბრძოლა, მედიის თავისუფლება, სახელმწიფო მართვის ხარისხი, მართლმსაჯულების სისტემა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმა, მრავალფეროვნების მართვა და უმცირესობათა უფლებები, დაურეგულირებელი ურთიერთობების კონტექსტში ისტორიისა და ენის სწავლება, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოტენციალის ზრდა - გასაზომად აუცილებელი კრიტერიუმების შეთანხმება;
 - აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები უნდა შეფასდეს დემოკრატიული სტანდარტების დაცვის თვალთახედვიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს არჩევნები არალეგიტიმურად მიიჩნევა.
- საქართველოში შიდა დიალოგის ხელშეწყობა, საქართველოს მთავრობისათვის ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის (დემოკრატისა და სამშვიდობო პროცესებში მიღწეული პროგრესის) მექანიზმების შეთავაზება, რაც ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოებასთან რეალურ პარტნიორობასა და ფართო კონსულტაციების ჩატარებას მთელი პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებთან.

4.

მნიშვნელოვანია ხალხის მოსაზრების გათვალისწინება, რათა პოლიტიკა დაეფუძნოს დაინტერესებული პირების მიერ სიტუაციის ღრმა და დეტალურ გააზრებას.



მამაკაცები სოხუმის ზღვისპირა უბანში © იბრაგიმ ჭკადუა

კონფლიქტის დროს დაზარალებული პირთა მოსაზრებები უნდა აღწევდეს გადაწყვეტილების მიმღებებამდე იმისათვის, რომ მათ შემდეგ ადეკვატურად მოახდინონ რეაგირება რთული სიტუაციის გამო აღმოცენებულ გამოწვევებზე და წარმატებას მიაღწიონ სამშვიდობო პროცესის განხორციელებაში.

იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოკითხვის შედეგები უარყოფს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებებს დევნილთა სურვილებისა და მათი სამომავლო ხედვების შესახებ. დევნილთა თითქმის 60% მიიჩნევს, რომ კონფლიქტის გადაჭრა ძალისმიერი გზით არ უნდა მოხდეს. რესპონდენტების 75-85% მიიჩნევს, რომ დაბრუნება შესაძლებელია, რომ გახდეს, აღარ არსებობს მათი სახლები, სადაც დაბრუნებას შესძლებდნენ. კონფლიქტით დაზარალებული პირების გამოცდილებისა და მათი თვალსაზრისის გათვალისწინება დაგვეხმარება მოქალაქეების საჭიროებებთან პოლიტიკური გადაწყვეტილებების დაკავშირებაში.

აფხაზური ჯგუფის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი დისკრიმინაციას განიცდიან და აქვთ იმედაცრუების გრძნობა, რადგანაც ხელი არ მოუწევდათ საერთაშორისო პლატფორმებისადმი და არც თუ იშვიათად აღმოაჩენენ ხოლმე, რომ მათ პოზიციას რუსეთი წარმოადგენს. ისინი ძალზედ მწვავედ აღიქვამენ იმ ფაქტს, რომ მათ კონფლიქტის მხარედ არ მიიჩნევენ და რუსეთის ინტერესები კი აფხაზეთის ინტერესების სინონიმად აღიქვამა.

“თუკი რუსეთი ხვალ ამ ტერიტორიას დატოვებს, ჩვენი კონფლიქტი მაინც კონფლიქტად დარჩება“.

მონაწილე აფხაზეთიდან, ერთობლივი ანალიტიკური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოკითხვისა და ჯგუფური დისკუსიების შედეგებმა დაადასტურეს, რომ ქართველთა უმრავლესობა ამ კონფლიქტს საქართველო-რუსეთს შორის არსებულ კონფლიქტად მიიჩნევს, მაინც არის იმის შეგრძნება, რომ ყველაზე მეტი პროგრესის მიღწევა კონფლიქტის ზუსტად ქართულ-აფხაზურ დონეზე შეიძლება. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მხარს დაუჭირდნენ მოლაპარაკებებს თბილისსა და სოხუმს შორის, ასეთივე აზრი ჰქონდა ქართული ჯგუფების მონაწილეების დაახლოებით ორ მესამედს. ზოგიერთი მონაწილე მისდინარე მოლაპარაკებებთან ერთად მხარს უჭერს ორმხრივი მოლაპარაკებების ჩატარებას სხვადასხვა დონეზე.

კონფლიქტის ორივე მხარეს ჩატარებულ ჯგუფურ დისკუსიებში წამოიჭრა წარსულის გააზრებასთან დაკავშირებული საკითხი. იძულებით გადაადგილებულ პირთა 59%

დაეთანხმა იმ აზრს, რომ კონფლიქტის გადასაჭრელად საჭიროა წარსულში ჩადენილი შეცდომების გამოსწორება. კერძოდ, ქართველი რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ შერიგების პროცესის დასაწყებად და მომავალი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია იმ პრეტენზიებისა და წყენაზე რეაგირება, რომლებიც სათავეს 90-იანი წლების დასაწყისში იღებს. რესპონდენტები საუბრობდნენ აგრეთვე იმაზეც, თუ რა დაბრკოლებებს ქმნის მშვიდობისაკენ მიმავალ გზაზე ნაციონალიზმი და უმცირესობებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

“ჩვენ საკუთარი შეცდომები უნდა ვაღიაროთ [...], უნდა მოვიხადოთ ზოდში, მოვინანოთ, თუკი ნამდვილად გვსურს შერიგება, ნორმალური და სამართლიანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს აშენება“.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, ინტერვიუ

ყენვის მოლაპარაკებები ორივე მხარე დღესდღეობით არსებულ იმ ერთადერთ ტრიბუნად აღიქვამს, სადაც შესაძლებელია პოლიტიკურ დონეზე კომუნიკაცია. ამავდროულად პროგრესის მოლოდინი მცირეა. ზოგმა რესპონდენტმა, ძირითადად სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის მონაწილე ქართველებმა, წყნად გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ არასაკმარისი პირდაპირი კონტაქტი აქვთ ყენვის პროცესის მონაწილეებსა და მედიატორებთან. ზოგიერთი მათგანი კრიტიკული იყო საქართველოს მთავრობის მიდგომის მიმართ და მიაჩნდათ, რომ მათი აზრები არ არის გათვალისწინებული, მაშინ როცა მათ კონფლიქტის მეორე მხარეს მყოფ კოლეგებთან დიალოგის წარმოების მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

კონფლიქტის ორივე მხარის უფრო ახალგაზრდა რესპონდენტებს, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებში ჩართულებს, უფრო პროგრესული და ღია განწყობა ჰქონდათ და ნაკლებად ახასიათებდათ სტერეოტიპებით აზროვნება. მათი, როგორც მომავალი პოტენციური გადაწყვეტილებების მიმღებების შეხედულებებსა და მიდგომებს პრინციპული მნიშვნელობა ექნება კონფლიქტის საბოლოო მოგვარების პროცესში.

ასეთი შეხედულებების საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს მოქმედებისა და წინსვლისათვის აუცილებელი ახალი შესაძლებლობები. ასეთი თვალთახედვის ასახვას შეიძლება დასჭირდეს შემოქმედებითი და საკმაოდ არაორდინარული მიდგომა, ვინაიდან ასე უფრო იქნება შესაძლებელი სიტუაციის აღქმაში დღესდღეობით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

რეკომენდაციები:

■ ევროკავშირმა მხარი უნდა დაუჭიროს არაფორმალური დიალოგის მრავალფეროვან - ორმხრივ და რეგიონალურ - პროცესებს და უნდა ეძიოს ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ყენვის პროცესის მონაწილეები ამ დიალოგის გამოყენებას შესძლებენ:

□ საქართველო-რუსეთის ამჟამინდელი ორმხრივი დიალოგის მხარდაჭერის გარდა, ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ორმხრივი დიალოგის წარმოებას საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელობას შორის და საჭიროების მიხედვით ფინანსური სახსრები უნდა გამოიყოს მესამე მხარის, როგორც შუამავლის მხარდასაჭერად;

□ ევროკავშირისათვის პრიორიტეტად უნდა იქცეს რეგიონის ახალგაზრდობისათვის განათლების მიღების სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზება რეგიონის გარეთაც. უნდა გამოიყოს რესურსები იმისათვის, რომ კონფლიქტის ორივე მხარის ახალგაზრდობამ შესძლოს შეხვედრა, საერთო გარემოში სწავლა და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის მიღება;

□ ინფორმაციის მისაღებად ევროკავშირი, როგორც შუამავალი, უფრო მეტად უნდა იყენებდეს კონტაქტების არსებულ ქსელებს, არაფორმალურ პროცესებსა და სამოქალაქო საზოგადოების პუბლიკაციებს, გარდა ამისა, ევროკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობას უნდა იღებდნენ სამოქალაქო საზოგადოების მიერ მოწყობილ ადგილობრივ შეხვედრებში;

□ აუცილებელია უმცირესობათა უფლებებისა და ნაციონალიზმის საკითხებისადმი მიძღვნილი დიალოგის შიდა პროცესების ყოველმხრივი ხელშეწყობა.

■ ევროკავშირის დელეგაციას და რეგიონში ვიზიტად ჩასული ევროკავშირის წარმომადგენლებს, მათ შორის ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს, შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან და კონფლიქტისგან დაზარალებულ სხვა ჯგუფებთან (კონფლიქტის ორივე მხარეს) აზრთა რეგულარული ურთიერთგაცვლის უფრო დახვეწილი მექანიზმების შექმნა. ყენვის პროცესის თანათავმჯდომარეებს შეუძლიათ დიალოგის წარმოების საშუალებები შეუქმნან ქართველ ექსპერტებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ყენვის შეხვედრების მონაწილე პოლიტიკოსებს.

■ ევროკავშირმა უნდა განიხილოს სხვა ორგანიზაციებთან (მაგალითად, ევროპარლამენტთან, ევროპის საბჭოსთან ან გაეროსთან) თანამშრომლობის ვარიანტი, რათა აფხაზეთის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ მათ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხებისადმი მიძღვნილ საქართველოს დისკუსიებში.

■ მთელს რეგიონში უნდა მოხდეს წარსული შეცდომებიდან დასვენების გამოტანა. დასვენები უნდა გაკეთდეს 2008 წელს ურთიერთობების გაწყვეტის ფაქტის საფუძველზეც, ხოლო კონფლიქტის ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს 90-იანი წლების ომის ისტორია.

ჩადენილი უსამართლობის აღიარება

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ბლოგზე, სადაც მკითხველებს სთხოვდნენ ერთი სიტყვით გამოეხატათ ის, რაც ყველაზე მეტად აკლია დღევანდელ საქართველოს, ყველაზე ხშირად გვხვდება სიტყვა „სამართლიანობა“. კონფლიქტის ორივე მხარის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ჯგუფურ დისკუსიებშიც იყო ნახსენები უსამართლობის გრძობა და წყენა, მიუხედავად უსამართლობის განსხვავებული აღქმისა. ერთი აფხაზი მასწავლებელი საუბრობდა დასავლეთის მიერ განხორციელებული „ბლოკადის“ მისეულ აღქმაზე. „მე იმისათვის ვმუშაობ, რომ შვილებს განათლება მივცე. მაგრამ ჩვენი პასპორტების მფლობელ სამუალო სკოლის კურსდამთავრებულებს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არსად აქვთ, რუსეთის გარდა [...] რატომ ახდენს ევროპა ჩვენი შვილების დისკრიმინაციას?“ გაგრის მაცხოვრებელი ამბობდა, რომ ავად გახდომის ეშინია. აქ ჩვენი სტაციონარი არ

გვაქვს, ხოლო მოსკოვში წასვლა ძვირია. ზოგი თბილისში მიდის და იმისათვის, რომ იმკურნალოს, იძულებულია საქართველოს პასპორტი აიღოს. ვინც ამაზე უარს ამბობს, მას სხვა არჩევანი არ აქვს“. ქართველი რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს მორალურ და ფინანსურ კომპენსაციას და დევნილთათვის უკან დაბრუნების უფლების უზრუნველყოფას. სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენლის (თბილისიდან) მოსაზრებით „სამართლიანობის აღდგენა - ნიშნავს ხალხისთვის დაკარგულის დაბრუნებას ან ამ დანაკარგის კომპენსირებას. რა გზით და რა რაოდენობით - ეს უკვე სხვა საკითხია. ამაზე უნდა მოხდეს შეთანხმება“. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი აზრი და პრეტენზიები გაგონილი და მხედველობაში მიღებული



დევნილობაში მცხოვრები ქართული ოჯახი © დათო მესხი

უნდა იყოს. ერთ-ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა აღნიშნა: „თუ ჩვენ არ ვაღიარებთ წარსულის შეცდომებსა და ჩადენილ უსამართლობას, მომავალში ვერ შევძლებთ ვერც დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას და ვერც კონფლიქტების დაგეგმვას“.



რუკა მოცემულია მხოლოდ ილუსტრაციის მიზნით. Saferworld და Conciliation Resources არანაირ პოზიციებს არ იკავებენ აღწერილის აურიდიულ ან პოლიტიკურ ნამდვილობასთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდოლოგია:

დოკუმენტში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ასახავს რეგიონის მცხოვრებ პირთა შეხედულებებს, გამოთქმულს ქართველი და აფხაზი პარტნიორების მონაწილეობით მთავარი შედეგების ანალიზის მიზნით ჩატარებულ ფართო კონსულტაციებისა და ერთობლივი სამუშაო შეხვედრების დროს. ჯგუფური დისკუსიები და ინტერვიუები ჩატარდა ბათუმში, გურჯაანსა და თბილისში, ამასთანავე გაგრამ, გალში, ოჩამჩირესა და სოხუმში. კვლევაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, მასწავლებლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ახალგაზრდები, ბიზნესმენები, თანამდებობის პირები, პარლამენტის წევრები და პოლიტიკური ოპოზიცია. ქართულ და აფხაზურ მხარეზე ჩატარებული კვლევის ანალიზი მოამზადეს „შერიგების რესურსების“ პარტნიორებმა მარინა ელბაქიძემ და ლიანა კვარცელიამ: „ევროკავშირის როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში“ და „ევროკავშირის აღქმა აფხაზეთში და თანამშრომლობის პერსპექტივები“.

მითითებული წყაროები და მადლობა

წინამდებარე კონცეპტუალური დოკუმენტის დასკვნები ეფუძნება „შერიგების რესურსებისა“ და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს პროექტის „სახალხო სამშვიდობო პროცესის პერსპექტივები“ და რეგიონში განხორციელებულ სხვა პროექტები. მოცემული პროექტის შესახებ დაწერილი მითითებული ინფორმაცია, სამეცნიერო მოხსენებებს და დამატებითი წყაროები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.c-c.org/PPP



დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ კავკასიური პროგრამების დირექტორის რეიჩელ კლოვისგან: rclogg@c-r.org

მოცემული დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაციები Saferworld და Conciliation Resources. ეს დოკუმენტი არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც ევროკავშირის პოზიცია

<p>Saferworld The Grayston Centre 28 Charles Square London N1 6HT, UK</p> <p>Phone: +44 (0)20 7324 4646 Fax: +44 (0)20 7324 4647 Email: general@saferworld.org.uk Web: www.saferworld.org.uk</p> <p>Registered charity no. 1043843 A company limited by guarantee no. 3015948</p>	<p>Conciliation Resources 173 Upper Street London N1 1RG UK</p> <p>Phone: +44 (0)20 7359 7728 Fax: +44 (0)20 7359 4081 Email: cr@c-r.org Web: www.c-r.org</p> <p>Registered charity no. 1055436 A company limited by guarantee no. 03196482</p>
--	---

წინამდებარე კონცეპტუალური დოკუმენტის შინაარსი ეფუძნება აგრეთვე „შერიგების რესურსებისა“ და მისი პარტნიორების მრავალწლიანი საქმიანობის შედეგებს ამ რეგიონში. ამ დოკუმენტის დასკვნები ეყრდნობა აგრეთვე შემდეგ დამატებით მასალას: 2010 წელს აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს „იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში. იძულებით გადაადგილებული პირების დამოკიდებულება კონფლიქტის, დაბრუნებისა და სამართლიანობის მიმართ“, ქართველი და აფხაზი ექსპერტების მიმოხილვებს, 2008 წლის შემდგომი პერიოდის კონტექსტში არსებული პრობლემებისა და შესაძლებლობებისადმი მიძღვნილ კონფლიქტმორის დიალოგის მონაწილეების შეხედულებებს - „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია - პარადიგმის გადააზრება“.

ვოტო გარეკანზე: ქალი იყურება ენგურის ხიდის მეორე მხარეს © იბრაგიმ ჭკადუა